*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



ქ. თბილისის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ
გიორგი ტყემალაძეს

ანასტასია ხაიაშვილის
მცხოვრები ქ. თბილისი
ქინძმარაულის შესახვევი
კორპ. 3, ბ.N10
ტელ: 579-49-55-11

# განცხადება

ბატონო გიორგი. მე ვარ ანასტასია ხაიაშვილი, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ვაჟკაცი შმაგი ხაიაშვილის მარტოხელა დედა. შმაგი იყო ჩემი ერთადერთი შვილი. მოგახსენებთ, რომ დღემდე ჩემი შვილის სახელზე არაფერი არ არის გაკეთებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ მივმართე წერილით საკრებულოს, თავდაცვის სამინისტროს. 2022 წლის ნოემბრის თვეში მივმართე ბატონ სოზარ სუბარს, ვესაუბრე და ბატონი სოზარ სუბარი შემპირდა, რომ დამეხმარებოდა. მოგვიანებით დაახლოებით ორ კვირაში დამიკავშირდნენ მისი დავალებით და მითხრეს, რომ საკრებულოდან დამიკავშირდებოდნენ და გადაწყდებოდა ეს საკითხი, თუმცა ყველაფერი ისევ გაჭიანურდა ამ დრომდე. დაპირებების მიუხედავად ჩემს წერილებზე რეაგირება არ ყოფილა. აგვისტოს ომში დაღუპულ გმირების სახელს ატარებს სკოლები, ქუჩები და სკვერები, ხოლო ზოგიერთის სკოლა, ქუჩა და სკვერიც არსებობს. მე ძალიან გულნაწყენი ვარ, რომ ჩემი შმაგის სახელზე მრავალი წერილის და მიმართვის მიუხედავად არაფერი არ გაკეთებულა. ნუთუ ჩემმა შვილმა არ დაიმსახურა? იგივე მსხვერპლი არ გაიღო რაც სხვებმა?

მოგახსენებთ, რომ შმაგი ხაიაშვილი სწავლობდა მოსკოვის გამზირზე 124-ე საჯარო სკოლაში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთებული არის ახალი სკვერი. უმორჩილესად გთხოვთ დამეხმაროთ, რომ აღნიშნულ სკვერს მიენიჭოს მისი სახელი. თუ ამ სკვერზე არ ჯდება, ვისურვებ სხვა სკვერი მიმდებარე ტერიტორიაზე

პატივისცემით, ანასტასია ხაიაშვილი

ა. ხაიაშვილი

26.04.2023წ.